მოწვევის ოფერტა

წინამდებარე ოფერტით განსაზღვრულია შპს სამაუწყებლო კომპანია იმერვიზიის მულტიფლექს პლატფორმასთან დაშვების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ,,ოფერენტის,, თავისუფალ რესურსთან დაშვების მსურველ ყველა ავტორიზებულ პირზე (შემდგომში ,,აქცეპტანტი,,).

განსაზღვრულია შპს სამაუწყებლო კომპანია იმერვიზიის ზონაში მოქმედი ადგილობრივი საეთერო ტელემაუწყებლების ,,ოფერენტის,, თავისუფალ რესურსთან დაშვების მომსახურება ხორციელდება შემდგომი პირობებით:

1.1. მომსახურება იწარმოება DVB-T (EN300-744) სტანდარტით და მონაცემთა შემჭიდროვების MPEG4 (H-264-ISO/TEC 144496) ტექნოლოგიით, ამასთან ქსელში DVB-T COFDM:8k, 64-QAM, Coding rate: 2/3 cuard interval: 1/8 პარამეტრებით ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე უნდა იყოს 22,118 მგბტ.წამში, ხოლო SD არხის გავრცელების სიჩქარე არანაკლებ 2,15 მგბტ. წამისა:

1.1 ოფერენტის კუთვნილ ქსელთან სიგნალის მიწოდებისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მომსახურების გაწევის მისამართია: ქ. ჭიათურა ნინოშვილის 7.

1.2 აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ხარჯით და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა წინამდებარე ოფერტის 1.1 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართამდე.

1.3 ოფერენტის მიერ შეერთების განხორციელებისას გამოყენებული ინტერფეისის აღწერილობა: ციფრული ინტერფეისი (SD/HDMI) სტანდარტული გარჩევადობის ვიდეო სიგნალი ფერების კოდირების PAL სისტემით და თანმდევი აუდიო სიგნალით;

2. ,,ოფერენტის,, კუთვნილ ქსელთან დაშვების მომსახურების მიწოდების ტარიფებია:

2.1. შპს სამაუწყებლო კომპანია ომერვიზიის ზონაში ღია ეთერით 1 მგბ/წმ-ით გავრცელებისათვის თვეში ხარჯზე ორიენტირებული გადასახადი შეადგენს 669 (ექვსას სამოცდაცხრა) ლარს, SD ფორმატში 1438 ლარი HD ფორმატში 5349 ლარი გადასახადების გარეშე..

3. ,,ოფერენტის,, კუთვნილ ქსელთან ჩართვის განხორციელების პირობები და პროცედურები.

3.1. აქცეპტანტი ვალდებულია წარადგინოს:

ა) ავტორიზაციის დამადასტურებელი
დოკუმენტი; ბ) ამონაწერი სამეწარმეო
რეესტრიდან;
გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის
ასლი; დ) წინსწრებით გადაიხადოს პირველი თვის
თანხა

4. ოფერტის მოქმედების ვადა:

4.1 წინამდებარე ოფერტა ძალაში შედის 2021 წლის 01.10-დან და მოქმედებს 2022 წლის 31.12-მდე.

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი :

რ ა მ ა ზ გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი